

ავტობიოგრაფია

მე, თეა ლეონიძე, დავიბადე 1983 წლის 3 დეკემბერს. დავამთავრე ქ. თბილისის N1 ღამის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 2006 წელს, სწავლის დასრულების შემდეგ, სტაჟირება გავიარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ამავე დროს გავიარე იუსტიციის სკოლაში თანაშემწის მოსამზადებელი კურსი და წარმატებით ჩავაბარე გამოცდა. 2007 წლის 3 დეკემბერს დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ (სისხლის სამართლის სპეციალიზაციით). 2011 წლის 29 ოქტომბერს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. 2013 წელს დავასრულე იუსტიციის უმაღლესი სკოლის იუსტიციის მსმენელთა სრული სასწავლო კურსი და სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 28.05.2013 გადაწყვეტილებით ჩავირიცხე იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. 2014 წლის 27 მაისს დავინიშნე გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატ მოსამართლედ ყვარლის მუნიციპალიტეტში. 2016 წელს კონკურსის საფუძველზე დავინიშნე ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით დავინიშნე ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დავინიშნე ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, სადაც ვახორციელებ უფლებამოსილებას.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.